პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 იანვარი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 2 (7813) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვულოცავთ!

ეს კაცი არც ერთ სპორტულ შეჯიბრებას არ აკლდება — სადაც არ შეხვდებით მას: სტადიონებსა თუ დარბაზებში, საცურაო აუზებსა თუ ჩოგბურთის კორტებზე, მაგრამ არც სპორტსმენია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მაყურებელი — იგი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი გახლავთ...

ალექსანდრე კოტორაშვილი ცხრა წელია გაზეთ „ლელოს" რედაქციაში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკური თუ საკავშირო პრესის ფურცლებზე მისი 10000-ზე მეტი ნამუშევარი გამოქვეყნდა. 1973 წელს, გდრ-ში მოწყობილ ფოტოგამოფენაზე მისმა ფოტოეტიუდმა „ჰოკეიმ" სპეციალური დიპლომი დაიმსახურა, „სოვეტსკი სპორტის" გუშინწინდელი, საახალწლო ნომრიდან კი შევიტყვეთ, რომ კოტორაშვილის მიერ გადაღებულ ფოტოსურათს — „საფეხბურთო ბალეტი" — ფოტოკონკურსში „სოვეტსკი სპორტი-84" მეორე პრემია დაუმსახურებია.

ვულოცავთ ჩვენს კოლეგას ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ, რომ მისთვის წლევანდელი წელიც ასეთივე ნაყოფიერი ყოფილიყოს.



სურათზე: „საფეხბურთო ბალეტი"

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სპორტულ კალენდარს თვალს თუ გადავავლებთ

სპორტული შეჯიბრება, იქნება ეს ოფიციალური ჩემპიონატი და პირველობა თუ ტრადიციული ტურნირი ან მემორიალი, სპორტული მოძრაობის თავისებური გვირგვინია. სწორედ შეჯიბრება ამოწმებს ამა თუ იმ რესპუბლიკისა თუ ქვეყნის სპორტსმენთა ოსტატობის დონეს, არკვევს ძალთა თანაფარდობას კონკრეტული პერიოდისთვის, ალმოაბრწყინებს დიდი სპორტის ახალ ვარსკვლავებს.

1985 წლის შეჯიბრებათა კალენდარი მრავალ საინტერესო სპორტულ ასპარეზობას გვპირდება. სპორტის უკლებლივ ყველა სახეობაში გაიმართება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, დიდი საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებები, ახალგაზრდული ტურნირები. ახალი სპორტული სეზონის ბევრ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო შეჯიბრებას უმასპინძლებს ჩვენი რესპუბლიკა. აი, რა უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე მეტრეველმა:

# ჩვენთან, საქართველოში

— ახალი სპორტული სეზონის კალენდარი, ფაქტიურად, უკვე დამტკიცებულია. ცხადია, ცალკეული ცვლილებები მოსალოდნელია, მაგრამ ძირითადად გარკვეულია რომელი ტურნირი როდის და სად გაიმართება. სხვათა შორის, ამდენი საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში აქამდე არასოდეს ყოფილა დაგეგმილი. იმათ გარდა, ტრადიციულად ჩვენთან რომ ტარდებოდა, თბილისი, ბაკურიანი და გუდაური, კიდევ რამდენიმე დიდ სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლებს.

დავიწყოთ ზამთრის სახეობებით. იანვრის მეორე ნახევარში ბაკურიანში მოეწყობა „მფრინავ მოთხილამურეთა" ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ეს ასპარეზობა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში, როგორც წესი, ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს. ცოტა მოგვიანებით — თებერვალში ბაკურიანშივე დაგეგმილია საერთაშორისო შეჯიბრება საზამთრო ორჭიდში, რომლის შედეგები მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედის. არანაკლებ საინტერესოდ ჩატარდება გუდაურში მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება — „გუდაურის გაზაფხული". ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რამდენი ქვეყნის სპორტსმენები გამოვლენ ამ ტურნირში, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ეს იქნება მოთხილამურეთა ერთ-ერთი წარმომადგენლობითი ასპარეზობა. გუდაურმა კარგა ხანია მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. ყველამ აღიარა, რომ აქ მართლაც საუცხოო ბუნებრივი პირობებია.



რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თაოსნობით უკვე ბევრი რამ გაკეთდა გუდაურის კეთილმოსაწყობად.

როგორც ყოველთვის, ჭიდაობის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები თავისუფალ ჭიდაობასა და ძიუდოში. თბილისის სპორტის სასახლეში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები 1-3 თებერვალს იასპარეზებენ, სამი დღის შემდეგ კი სარბიელი ძიუდოისტებს დაეთმობათ. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი თორმეტი ქვეყნის უძლიერეს ფალავნებს შეკრებს. თბილისში ჩამოვა აღიარებული საჭიდაო ცენტრების საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, თურქეთის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპო-




ნიის სპორტსმენები. რა თქმა უნდა, უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდებიც. კიდევ უფრო „ხალხმრავალი" იქნება ძიუდოისტთა ფორუმი. წინასწარი ცნობით, თბილისის ტატამზე ოცამდე ქვეყნის ძიუდოისტები გამოვლენ. ჩვენი გულშემატკივრები სხვებთან ერთად იაპონიის ძიუდოს სკოლის წარმომადგენლებსაც იხილავენ.

მაისსა და სექტემბერში თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე სამი დიდი შეჯიბრება მოეწყობა: 6-8 მაისს გაიმართება საერთაშორისო ასპარეზობა საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე, 11-17 მაისს — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ოლიმპიური პროგრამით, სექტემბერში კი — ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ექვსი დღე თბილისში". ჩვენი ტრეკი კარგა ხანია იქცა მსოფლიოს უძლიერეს ველოსპორტსმენთა ასპარეზად. სხვადასხვა დროს თბილისში არაერთი სახელგანთქმული მრბოლელი გამოსულა და ვფიქრობთ, ამ მხრივ, გამონაკლისი არც 1985 წელი იქნება.



საინტერესო შეჯიბრებები ელით წყალბურთის მოყვარულებსაც. იანვარ-თებერვალში თბილისში მოეწყობა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. მარტში ჩვენი დედაქალაქი უმასპინძლებს ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო პირველობას, მაისის ბოლოს კი დაიწყება საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე, ეს შეჯიბრებები ხელს შეუწყობს ამ სახეობის აღმავლობას, ახალი ტალანტების აღმოჩენას.

ჩვენმა წყალბურთელებმა, ისევე როგორც სპორტის კიდევ რამდენიმე სათამაშო სახეობის წარმომადგენლებმა, საგრძნობლად დათმეს პოზიციები. მაგალითად, ვერა და ვერ გაიმართა წელში



ქართული ფრენბურთი — ერთ დროს საკმაოდ წარმოჩენილი. ფრენბურთის პოპულარიზაციისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ქალთა გუნდების დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც 4-13 ივლისს მოეწყობა თბილისში. ამ შეჯიბრებას თამამად შეიძლება სუპერ-ტურნირი ვუწოდოთ. თავად განსაჯეთ: სპორტის სასახლეში გამოვლენ კუბის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის, აშშ-ის, გფრ-ისა და საბჭოთა კავშირის (ორი ნაკრები) ეროვნული გუნდები. ვინლა დარჩა? ნავარაუდევია, რომ მსგავსი შეჯიბრება თბილისში ვაჟთა გუნდების მონაწილეობითაც გაიმართება.



რასაკვირველია, სპორტის მოყვარულები განსაკუთრებული ინტერესით ელიან ოც წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს. როგორც ცნობილია, ჩემპიონატში მონაწილე ოთხი გუნდი (ე. ი. ერთ-ერთი ქვეჯგუფი) პირველი ეტაპის მატჩებს თბილისში გამართავს. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით ამ საპასუხისმგებლო და ავტორიტეტული შეჯიბრების ღირსეული მასპინძლობისთვის, გვინდა ის დღეები ფეხბურთის ნამდვილ დღესასწაულად ვაქციოთ. გვჯერა, რომ ჩვენს სტადიონს მაყურებელი არ მოაკლდება და ჩემპიონატის მატჩები, როგორც ყოველთვის, უმაღლეს დონეზე ჩატარდება.

ყველას კარგად გვახსოვს რა დიდი რეზონანსი ჰქონდა მოჭადრაკე ქალთა სუპერ-ტურნირს, რომელიც შარშან თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო. გადაწყდა ტრადიციული გამხდარიყო იგი. წელს, ივლისში, თბილისში კვლავ მოიყრიან თავს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალები. საინტერესო სანახაობა ელით ჩოგბურთის მოყვარულებსაც, მარტში ჩვენს კორტებზე დევისის თასი გათამაშდება. ამ პოპულარული პრიზისთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები, მაყურებელი იხილავს მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელს — ივან ლენდლისა და სხვა ცნობილ სპორტსმენებს. შემოდგომაზე კი (სექტემბერში) აქვე ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი გამოვლენ.

გარდა ამისა, თბილისში გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრებები აკრობატიკაში (აპრილი), მხატვრულ ტანვარჯიშსა (აპრილი) და ხელბურთში (დეკემბერი, „ზარია ვოსტოკას" პრიზი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები სინქრონულ ცურვაში (ივნისი), წყალში ხტომასა (ივნისი) და მხატვრულ ტანვარჯიშში (აპრილი, ჯგუფური ვარჯიშები), უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრები (მარტი, აპრილი), სხვა საკავშირო ტურნირები.



ამ შეჯიბრებათა მასპინძლობა საპატიოც არის და საპასუხისმგებლოც. ჩვენზეც — ორგანიზატორებსა და მაყურებლებზეც იქნება დამოკიდებული, როგორი განწყობილებით დაბრუნდებიან შინ საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენები, ოფიციალური სტუმრები, მსაჯები, ჟურნალისტები.

საუბარი ჩაიწერა
ელგუჯა ბერიშვილმა.

**წამით გაუჩნდება ტრიბუნა... ბურთი მოჯადოებულივით მიჰყვება ვილაცის ნებას, აღარ ურჩობს, ნარნარით მიდის, მისრიალებს მწვანე მინდორზე... კიდევ ერთი, თითქმის შეუმჩნეველი შეხება და ეს საფეხბურთო მელოდია, რამდენიმე წამის წინ სალბუნად რომ ედებოდა გარინდებულ სტადიონს, ისევე ქრება როგორც მოვიდა...**
**იქნებ ამისთვისაც უყვართ ფეხბურთი, იმ რამდენიმე წამისთვის, ხელოვნებამდე რომ მაღლდება გამორჩეულად ნიჭიერ ოსტატთა წყალობით.**

# ალექსანდრე ჩივაძე

ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრაში რამდენიმე ფოტოსურათი ინახება, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ალექსანდრე ჩივაძე დავით ყიფიანთან ერთად. ეს სურათი ტიპიურია იმ პერიოდის „დინამოსათვის“, როცა ერთმანეთის გვერდით თამაშობდა ევროპის თასის მფლობელი თაობა. ყიფიანი თითქოს ოპერატიულ სივრცეს ზვერავს, ჩივაძე კი ჩვენთვის ნაცნობი ჟესტით რაღაცას უჩვენებს პარტნიორებს. გაწვდილი ხელი — ეს იმას ნიშნავს, რომ მან პარტნიორებზე ადრე შეამჩნია და ამოიცნო მომავალი საფეხბურთო „სვლა“. წამიც და, ბურთი მის მიერ მინიშნებულ ადგილზე დავარდება, ხოლო ჩივაძის რომელიმე პარტნიორი ალბათ მეტოქეზე უმალ გაჩნდება იქ.

მე ზოგჯერ დავხედავ ხოლმე ამ სურათს, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო. ენერგიული მოძრაობა, ცოცხალი გამომეტყველება, თამაშში მთელი არსებით ჩართული ფეხბურთელის ოდნავ წელში მოხრილი ფიგურა — ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივია. და მაინც, ამ სურათში მე ვპოულობ მხოლოდ გუნდის კაპიტნისათვის ნიშანდობლივ ჟესტ-მიმიკას და იმ ხაზგასმულ ემოციებს, რაც ყველასაგან გამოარჩევს ფეხბურთელ ალექსანდრე ჩივაძეს.

ხშირად მიფიქრია, რომ ამ ფოტოს კომენტარი სჭირდება. არა კონკრეტულ სურათს, არამედ საერთოდ, ჩივაძის მიერ განვლილ გზას.

აი, უკვე მერამდენე წელია ალექსანდრე ჩივაძეს „დინამოს“ მაისური აცვია და კაპიტნის სამკლაური უკეთია. ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ დინამოელებს წინ მიუძღვით მაღალი, ბეჭთხელი, შავულვაშა კაპიტანი, რომელიც თავისი გარეგნობითაც და შინაგანი სიმშვიდითაც რწმენას, იმედს უნერგავს პარტნიორებსა და მაყურებელს. მას წესრიგი და სიმშვიდე შეაქვს გუნდში, ყველაზე დაძაბულ სიტუაციებშიც კი არ კარგავს წონასწორობას. მან აღელვებისა და თავშეუკავებლობის უფლება უკვე კარგა ხანია დაკარგა. მას არ ეპატიება არც სასოწარკვეთა, არც პანიკა. იგი ღელავს ისე, რომ სხვები ამას ვერ ამჩნევენ. და მხოლოდ ტელეკამერის მგრძნობიარე თვალი დროდადრო მსხვილი პლანით გვიჩვენებს მის დაძაბულ სახეს, რომელზეც ტკივილია აღბეჭდილი. მაგრამ ეს არ არის ფიზიკური ტკივილი; ბურთი მისგან მოშორებითაა, იგი შორიდან განიცდის თითოეულ ეპიზოდსა და ნიუანსს. და მაშინ, უნებურად თამაშს ჩამორჩენილი ტელეობიექტივი გადმოგვცემს იმ ადამიანის განცდას, რომელსაც კარგად ესმის, როგორ იცვლება მატჩის რიტმი, როგორ შეუმჩნევლად გადადის უპირატესობა ხელიდან ხელში, როგორ ილლებიან პარტნიორები და რა ბევრს ნიშნავს მათთვის თავიანთი კაპიტნის მხარში ამოდგომა.

ალბათ, ჩივაძის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო მატჩი დანიაში, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ეს მოხდა 1977 წელს „კბ კოპენჰაგენთან“. არის მატჩები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამა თუ იმ სპორტსმენის ბიოგრაფიაში. იმ მატჩში ჩივაძე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი წევრი იყო. საქმე მარტო ის არ არის, რომ მან ორი გოლი გაიტანა. იმ თამაშში იგი ისე ძალდაუტანებლად მოძრაობდა, ისე იოლად პოულობდა მეტოქის კარისაკენ მიმავალ გზებს, ისე ადვილად იგებდა ორთაბრძოლებს, რომ ჩვენ ვირწმუნეთ: „დინამოში“ მოვიდა და კარგა ხნითაც მოვიდა ძალიან მაღალი კლასის ოსტატი. იმ წუთებში მეც და ალბათ ბევრ ტელემაყურებელსაც ალექსანდრე ჩივაძე წარმოგვიდგა მოწოდებით ნახევარმცველად, კონსტრუქტორად, მოიერიშე სტილის ინსაიდად. მაგრამ გაივლის მცირეოდენი ხანი და გუნდის ინტერესებისათვის ჩივაძე დაიხევს უკან, ცენტრალური მცველის ადგილზე, და ჩვენთვის იგი იმ დღიდან იქნება ექსტრა-კლასის მცველი. ალბათ ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ როგორ შეიცვლიდა ადგილს (თანაც ორჯერ) ფორვარდი ალექსანდრე ჩივაძე. მართლაც, როცა ჩივაძეს მოედნის სხვადასხვა მონაკვეთში ვხედავთ, ჩვენთვის იგი ხან ფორვარდია, ხან ნახევარმცველი, მცველი ხომ არის და არის. სწორედ ამ უნივერსალობამ განსაზღვრა ჩივაძის განსაკუთრებული როლი და ადგილი თანამედროვე ფეხბურთში. ამ აზრით, იგი სრულიად ახალი ფორმაციის ფეხბურთელია, რომელიც პირადად მე მომავალი „დინამოს“ იდეალური შემადგენლობის სამაგალითო წევრად მესახება. ალბათ ფეხბურთი იმ გზით ივლის, რა გზითაც გაიკვალა გზა ჩივაძემ თავის გუნდთან ერთად მწვერვალებისაკენ.

ჩივაძისთანა ფეხბურთელი მუდამ დიდი დეფიციტია და ასე იქნება მომავალშიც. წავიდა ის დრო, როცა ჭეშმარიტად დიდ ფეხბურთს თამაშობდნენ სტიქიურად მოვარდნილი ტალანტები, რომელთაც შეეძლოთ მარტოოდენ ნიჭისა და ინტუიციის იმედად ყოფილიყვნენ. თანამედროვე ფეხბურთმა მოითხოვა ბეკენბაუერი, კრუიფი, სოკრატესი, ზიკო, ფალკაო და სხვა მათი მსგავსი გამოჩენილი სპორტსმენი-პიროვნებები. ძალზე ხშირად ჩივაძის თამაშის სტილსა და მანერას ბეკენბაუერისას ადარებენ. ამ შედარებას, რა თქმა უნდა, აქვს საფუძველი. გავიხსენოთ, რა იოლად იმორჩილებს იგი ბურთს ან იმარჯვებს მეტოქესთან ორთაბრძოლაში ისე, რომ ფაქტიურად არც ამყარებს მასთან ფიზიკურ კონტაქტს. ეს უმაღლესი ოსტატობის შედეგია; გავიხსენოთ, რა იოლად მიემართება იგი მეტოქეებით „დახუნძლული“ მოედნისკენ და ყინულმჭრელივით იტოვებს მათ უკან; გავიხსენოთ, რა ძალდაუტანებლად სწყდება იგი ადგილს და რა მოულოდნელად იცვლის მიმართულებას — მიდის იქით, საითაც თანდაყოლილ ალღოსა და შთაგონებას მიჰყავს.

**შთაგონება**—ეს სიტყვა ალბათ ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩივაძე-ფეხბურთელის ერთ-ერთ მთავარ თვისებას. ამ თვისებით ბრწყინავდა იგი „დინამოს“ საუკეთესო მატჩებში „ლივერპულთან“, „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“. „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“, „ინტერნაციონალესთან“, „ფეიენოორდთან“, „კარლ ცაისთან“. შთაგონება ანიჭებს მას უპირატესობას ნაკრების დონეზე ჩატარებულ ყველაზე პრინციპულ მატჩებშიც, როცა საკმარისი არ არის სხვა ღირსებები. და კიდევ საფეხბურთო და პიროვნული კულტურა. ხაზგაუსმელი, მე ვიტყოდი, სადა და მკაცრი ელეგანტურობა ნიადაგ ახლავს მის თამაშს. იგი არასოდეს არ კეკლუცობს, არასოდეს არ ცდილობს „საესტრადო“ ნომრის ჩვენებას, არასოდეს არ ახდენს საფეხბურთო ილეთების დემონსტრაციას, როცა ამას სიტუაცია არ მოითხოვს. ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ოვაციებისთვის იქცევა ასე. კაპიტანი თავის თავს ამის უფლებას არ აძლევს. მაგრამ კაპიტნობა რა შუაშია, ჩივაძე თავად არის სადა პიროვნება, რომელსაც, როგორც სერიოზულ, დაფიქრებულ შემოქმედს, ყოველგვარი ზედმეტობა სძაგს. ამ თვისებებმა მას შეუქმნა ისეთი ფეხბურთელის რეპუტაცია, თითქოს არასოდეს არაფერი არ ეშლება და... რომელიც თითქოს ისეთ მონდომებას არ იჩენს კლუბში თამაშის დროს, როგორც, მაგალითად, ნაკრების მატჩებში. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ შეიძლება „ბრალდება“ შევაბრუნოთ და პირიქითაც ვთქვათ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩივაძე გაურბის გარეგან ეფექტებს და ცდილობს გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს თავისი რაციონალური თამაშით, რომელიც სრულებითაც არ გამორიცხავს იმპროვიზაციის ელემენტებს. ეს ილუზია შესაძლოა იმიტომაც იქმნება, რომ ჩივაძე სტანდარტული პოზიციების გამოყენების ჩინებული ოსტატია. დაუკვირდით, რა გულმოდგინედ ასწორებს იგი ბურთს, რა მოზომილი მოძრაობით უახლოვდება მას და რაოდენ დიდი სიზუსტით ურტყამს კარში. გამორბენი მუდამ გრძელია. ჩივაძე არასოდეს არ ჩქარობს ან, უკეთ, იგი ჩქარობს აუჩქარებლად; ალბათ ეს ფუსფუსის უგულებელყოფა ქმნის მისი ერთგვარი სიზანტის შთაბეჭდილებასაც. მაგრამ ეს სინამდვილეში მოხერხებულად შენიღბული სისწრაფეა, რასაც მე მოძრაობისა და აზროვნების სისხარტეს დავარქმევდი.

**სტაბილურობა**—ჩივაძემ არ იცის, რა არის წარუმატებელი სეზონი. მაგრამ ეს ილუზიაა, დიდი ოსტატის მიერ შექმნილი ილუზია; სინამდვილეში მისი ერთი მატჩი მეორეს არა ჰგავს, ისევე როგორც არ არსებობს აბსოლუტურად ერთმანეთის მსგავსი ორი ადამიანი. და მაინც, მის მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ჩემპიონატებსა და ტურნირებში რაიმე განსხვავების პოვნა მართლაც ძნელია.

იგი არასოდეს არ ყოფილა საფეხბურთო „კამერდინერი“, შეგირდობის ასაკშიც კი. მისი თავისთავადი, მამაკაცური ხასიათი პირწმინდად გამორიცხავდა ვინმეს ჩრდილში დგომასა და პასიურ სამსახურს, თუმცა შავი სამუშაო არასოდეს უთაკილია და ხაზგასმული პუნქტუალობით ასრულებდა მას. არც თავად ჰყოლია ოდესმე „კამერდინერი“. მისი დემოკრატიული ბუნება მხოლოდ თანაბარი უფლებების პარტნიორებს იგუებს. მაგრამ, თუ საჭირო გახდა, ეს კი მუდამ არის საჭირო,—იგი დაუყოვნებლივ ჩნდება პარტნიორის გვერდით და შეიძლება მისი ფუნქციაც იტვირთოს. ამ დროს იგი არ ემალება პასუხისმგებლობას, მით უმეტეს, რომ „სასწრაფო დახმარება“ ზოგჯერ რისკთან არის დაკავშირებული. იგი უშიშრად მიდის იქ, სადაც სიტუაციის მიხედვით შესაძლოა დაზღვევის მომენტში იოლადაც მოატყუონ. იგი არ ფიქრობს, რომ ასეთი შეცდომები შელახავს მის რეპუტაციას. პირიქით, დაშვებული შეცდომის შემდეგ უფრო მონდომებით ცდილობს სარგებლობა მოუტანოს გუნდს, ხოლო თვითონ რაც შეიძლება სწრაფად გაიქარვოს სინდისის ქენჯნა. იგი ამითაც არის სამაგალითო პარტნიორებისათვის — თავისი ბაჯაღლო პატიოსნებით, თავისი მიამიტობამდე მისული გულწრფელობით, რაც უთუოდ დიდი სპორტსმენის ნიშანდობლივი თვისებები გახლავთ.

ფეხბურთი მისთვის ცხოვრებაა, ოღონდ მინიატურაში. ამაზე ხშირად ლაპარაკობენ ინტერვიუში ცნობილი ფეხბურთელები. ასე რომ, ეს აზრი უკვე ტრივიალური გახდა. მაგრამ მისთვის ფეხბურთი სინამდვილეში მისი ცხოვრების, მისი არსებობის მთავარი ნაწილია, რადგან მან სხვაზე უკეთ იცის, რომ ფეხბურთი მარტო თამაში და ლაღობა არ არის.

ჩივაძის დარი ფეხბურთელები ყველა თაობისათვის სასარგებლონი და საჭირონი არიან. მაგრამ ალბათ არასოდეს ყოფილა მისი როლი გუნდში დღევანდელივით მნიშვნელოვანი. დინამოელთა დღევანდელ თაობას იმდენად მისი ოსტატობა არ სჭირდება, რამდენადაც წინ გაძღოლა, დამოძღვრა, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. თანაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს მუდამ შეუძლიათ მისი იმედი ჰქონდეთ: კაპიტანი მზად არის გუნდისათვის გაიღოს ყველაფერი, რაც დიდ ფეხბურთელსა და ნაადრევად დაბრძენებულ მამაკაცს მოეთხოვება. მაგრამ ჩივაძისა და დანარჩენი ფეხბურთელების ურთიერთობა მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ოსტატისა და შეგირდის ურთიერთკონტაქტს. მას არასოდეს მოუსხამს მენტორის მოსასხამი, არასოდეს უკადრებია ახალგაზრდა კოლეგისა და საკუთარი თავისთვის ანბანური ჭეშმარიტების ქადაგება, რაც ყველაზე მეტად აშორებს ხოლმე სხვადასხვა თაობის ადამიანებს. ეს ურთიერთობა უკომპრომისოა, გულწრფელია და შესაძლოა ერთგვარად ხორკლიანიც: ფეხბურთსა და ფეხბურთელებს არ უყვართ დაშაქრული ლირიკა, ფეხბურთი მამაკაცების სპორტია. მამაკაცებს კი ყველაზე მეტად აღიზიანებთ წვრილმანი მეურვეობა.

თაობაზე მოგახსენებდით, იმ თაობაზე, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის ქართული ფეხბურთის ალამდრის საპატიო ტვირთი. ასეთი ახლო მეზობლობა ძველ და ახალ თაობებს შორის ამ უკანასკნელს დამატებით ფსიქოლოგიურ სიძნელეებს უქმნის. მისგან იმაზე მეტს მოითხოვენ ან, უფრო სწორად, თითქმის იმდენივეს მოითხოვენ, რამდენსაც მისივე სახელოვანი წინამორბედებისაგან. ეს კი ზოგჯერ გაუსაძლისი ტვირთია, რაც კარგად გამოჩნდა 1983-84 წლების სეზონში. ამ თაობის ფეხბურთელებმა კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ და გამოსცადონ, უფრო მეტად კი, აღზარდონ საკუთარი თავი და სულისკვეთება წინამორბედთა ტრადიციებზე დაყრდნობით. ისინი ნამდვილ, ძლიერ მამაკაცებად უნდა იქცნენ. თამამი თამაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ სიმტკიცეს, რომელიც დინამოელთა სხვადასხვა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებისთვის იყო ნიშანდობლივი. და ამ საუკეთესო



წარმომადგენელთა შორის, ცხადია, ერთ-ერთ უპირველესად ალექსანდრე ჩივაძეს ვიგულებთ, ნამდვილ ცოცხალ მაგალითს ჩვენი ფეხბურთის ახალი ტალღისათვის. ამიტომ არის ჩივაძე ფეხბურთელთა ამჟამინდელი თაობის წინამძღოლი და არა მარტო კაპიტანი. არადა, დღევანდელ „დინამოს“ ისე არ ულხინს, როგორც მის ქომაგებს სურთ. კაპიტნის პასუხისმგებლობა ასეთ ვითარებაში განუზომლად იზრდება: იგი ფიქრობს გუნდის თითოეულ წევრზე, მათ დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე, ფიქრობს, როგორ გაიყვანოს „დინამო“ მეგობრებთან ერთად იმ ორბიტაზე, რომელსაც ორი-სამი წლის წინ მოულოდნელად მოსწყდა. ადვილია კაპიტნის ფიქრებისა და ხვაშიადის მიხვედრა: გუნდიდან წასული და უკვე ფეხბურთის ისტორიაში შესული ამხანაგები ამ საქმეში შემწეობას ველარ გაუწევენ. და ვიდრე ახალი თაობა საბოლოოდ დადგებოდეს ფეხზე, „დიდმა ოთხეულმა“: ჩივაძემ, სულაქველიძემ, შენგელიამ, გუცაევმა უნდა გაუკვალონ გზა თავიანთ ახალგაზრდა კოლეგებს. ეს კი უკვე ასაკოვანი ფეხბურთელებისათვის არ არის იოლი საქმე...

ცალკე თემაა ჩივაძე, როგორც ნაკრების კაპიტანი. ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელია, რისთვის ირჩევენ ქვეყნის მთავარ გუნდში ფეხბურთელს კაპიტნად და რა თვისებებით უნდა იყოს იგი დაჯილდოებული. ბევრი რამ ნახა თავისი კაპიტნობის პერიოდში ჩივაძემ, ბევრმა კრიზისმა და უთანხმოებამ იჩინა თავი ამ წლის მანძილზე, მაგრამ მას თავისი მაღალი წოდება და მდგომარეობა არასოდეს შეუბღალავს, რადგან სინამდვილეში იყო საუკეთესო ოსტატიც და არანაკლებ საუკეთესო წინამძღოლიც ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელებისა. ალბათ ნაკრების შემადგენლობაში უკეთ გამოიკვეთა ჩივაძე-ფეხბურთელისა და ჩივაძე-პიროვნების პორტრეტის შტრიხები, რომლებიც გაამდიდრა და უფრო თვალსაჩინო გახადა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ძლიერ გუნდებთან და მოთამაშეებთან ჭიდილმა. ნაკრებში ჩივაძის თამაშის სტილი უფრო მკაცრია, უფრო აკადემიური. მეტი სიცხადისათვის დავძენ, რომ „დინამოში“ ჩივაძეს თავისი უშუალო და ძირითადი მოვალეობის საზიანოდაც კი უხდება პარტნიორების შეცდომების ან სუსტი თამაშის გამოსწორება. მაგრამ ამაში ძნელია მას დასდო ბრალი: კაპიტანი ხედავს, რომ გუნდს უჭირს, ვერ უტევს, გოლი ვერ გააქვს და მაშინ იგი შეგნებულად მიდის „ვაბანკზე“. ასეთი წრესგადასული აზარტი მისთვის არ არის დამახასიათებელი, რაც კარგად ჩანს ნაკრებში.

ისევე როგორც „დინამოში“, ნაკრებშიც ჩივაძის თამაში სტაბილურობის ანუ მაღალი კლასის თავისებური ნიმუშია. მას ნაკრებში არასოდეს „გაუფუჭებია“ მატჩი. პირიქით, ქვეყნის მთავარი გუნდის თამაშს მუდამ ეტყობა ქართველი ფეხბურთელის არყოფნა. აქაც და სხვაგანაც მე განგებ ვუვლი გვერდს იმ მრავალრიცხოვან კომენტარებს, რეცენზიებს, მოსაზრებებს, საბჭო[illegible]ურ და უცხოურ გამოცემებში რომ დასტამბულა ჩივაძის შესახებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბჭოთა ნაკრების კაპიტანი საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში ამ თამაშის „პროფესორის“ რეპუტაციით სარგებლობს. ეს მეტსახელი ჩვენ[illegible] ჟურნალისტებს არ შეურქმევიათ — ჩვენთან რატომღაც ცუდ ტონად ითვლება სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად დიდი ფეხბურთელისათვის ჟღერადი ეპითეტის მიძღვნა, — „პროფესორი“ უცხოეთში დაარქვეს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს.

არ ვიცი, რა აზრისა არიან თავად მეტოქეები ალექსანდრე ჩივაძის შესახებ, მაგრამ ისეთი შთაბ-

# თბილისელები უძლიერესნი იყვნენ

**ბათუმში** გაიმართა საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი ბადმინტონში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის (2), ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, გორისა და წყალტუბოს გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა — 305 ქულა, მეორე ადგილზე გავიდნენ აჭარის წარმომადგენლები— 283, მესამეზე — ქუთაისელი სპორტსმენები — 256.

საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა ივანე ჩარბაძემ. მანვე. იური ბარხუდაროვთან ერთად, ყველას აჯობა ვაჟთა წყვილებში. ამ სახეობაში II-III ადგილები დაიკავეს ბათუმელთა წყვილებმა, შესაბამისად გელა გურგენიძე — გია წულაძემ და მალხაზ მურვანიძე — მალხაზ მჟავიამ.

ერთეულთა თანრიგში II-III ადგილები დაიკავეს ქუთაისელმა გია ჯანელიძემ და მ. მჟავიამ.

ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ბათუმელი ინგა ბერიძე, მისმა თანაგუნდელმა მაია დარჩიამ II ადგილი დაიკავა, თბილისელი სპორტსმენი მადონა სვირიდენკო მესამე იყო.

წყვილთა შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს აჭარელმა სპორტსმენებმა: ი. ბერიძემ და მ. დარჩიამ ფინალში მშრალი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს თბილისელები ელენა ივანოვა და ალა არშუკოვა. III ადგილზე გავიდა ქუთაისელ სპორტსმენთა წყვილი — ირმა ბუხაიძე და ირინა ჩხეტია.

შერეულ წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ივანე ჩარბაძე და თამარ მეტრეველი. II ადგილზე გავიდა გ. გურგენიძისა და ი. ბერიძის წყვილი, მესამეზე — ჯანელიძე და ი. ბუხაიძე.

ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული. შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებზე დაიცავს.

**ვადიმ როსი.**

### რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონი

**ივანე ჩარბაძე**

**ბადმინტონი**



დაიბადა 1960 წელს თბილისში

წონა 76 კგ, სიმაღლე 176 სმ.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრი.

მწვრთნელი ლევან ქურხაშვილი

ვარჯიში დაიწყო 1872 წლიდან.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

### ინფორმაცია

# ურალის ხალიჩაზე

**ამ** დღეებში კიროვის ოლქის ქალაქ ნოვოვეტსკში დამთავრდა მე-13 ტრადიციული საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში 1968-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 20 გუნდის 250 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდნენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენის" (თავმჯდომარე თ. გაბიძაშვილი, მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვ. ხარაზოვი) მოჭიდავეები.

უნდა ითქვას, რომ საუკეთესოდ იასპარეზეს დიმიტროველებმა. I ადგილებზე გავიდნენ გიგლა კოდოევი (48 კგ), თამაზ გუდაძე (60), დავით აბრამიშვილი (69), მალხაზ მამუჩიშვილი (80); მეორე პრიზიორები გახდნენ გია ფილაური (45), თამაზ ახობაძე (52), მურად იმედაძე (87); მესამე ადგილები წილად ხვდათ ამირან ჯოხაძესა (60) და ზურაბ ბეზარაშვილს (74).

# რესპუბლიკის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წინადადებით რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა დაამტკიცა საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები 1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.**

**ვაჟები**

1. **ვლადიმერ გაბრიჩიძე** (დაიბადა 1968 წელს („დინამო", თბილისი)
2. **ირაკლი მეტრეველი** (1967, „დინამო", თბილისი)
3. **გელა ელერდაშვილი** (1965, „ბურევესტნიკი", თბილისი)
4. **დავით კაჭარავა** (1969, განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სპორტსკოლა, თბილისი)
5. **გიორგი მირიანაშვილი** (1967, „დინამო", თბილისი)
6. **ლევან რაზმაძე** (1966, „დინამო", თბილისი)
7. **ლევან თოფჩიშვილი** (1966, „დინამო", თბილისი)
8. **დავით კვარაცხელია** (1969, „დინამო", თბილისი)
9. **გია ლეჟავა** (1967, „დინამო", თბილისი)
10. **ნიკოლოზ ელერდაშვილი** (1958, „ბურევესტნიკი", თელავი)

**ქალები**

1. **ლეილა მესხი** (1968, განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სპორტსკოლა, თბილისი)
2. **ირინე მალაციძე** (1965, „დინამო", თბილისი)
3. **ხათუნა ტრაპაიძე** (1967, „დინამო", თბილისი)
4. **ლალი მეტრეველი** (1966, „დინამო", თბილისი)
5. **ინგა ანტონიანი** (1967, „დინამო", თბილისი)
6. **ზანდა ფოცხვერია** (1965, „ბურევესტნიკი", თბილისი)
7. **ეკა ბოკუჩავა** (1971, „დინამო", თბილისი)
8. **ირინე გერაძე** (1969, „დინამო", თბილისი)
9. **ოლღა თუხარელი** (1968, „დინამო", თბილისი)
10. **ეკა თოხაძე** (1969, „დინამო", თბილისი)

**საქართველოს** უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟთა ათეულს წლეულს პირველად ჩაუდგა სათავეში 16 წლის თბილისელი სპორტსმენი **ვლადიმერ გაბრიჩიძე.** ამ ასაკის ჩოგბურთელისთვის ეს დიდი პატივია, მაგრამ გაბრიჩიძემ მართლაც დაიმსახურა ამგვარი აღიარება. დინამოელი სპორტის ოსტატი მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურად ასპარეზობდა, მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონისა და მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება (შერეულ წყვილთა თანრიგში), გაიმარჯვა უცხოეთში გამართულ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირშიც. გაბრიჩიძემ ათეულის სათავეში შეცვალა ვიქტორ ხურდა, რომელიც ამჟამად სამხედრო სამსახურშია.

მეორე ადგილზეა სპორტის ოსტატი **ირაკლი მეტრეველი,** რომელმაც მკვეთრად აიმაღლა თამაშის კლასი, გაძლიერდა როგორც ფიზიკურად, ისე ოსტატობის მხრივ.

უძლიერესთა სიაში მესამეა სპორტის ოსტატი, 19 წლის გელა ელერდაშვილი. გელამ თავი გამოიჩინა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს პირველობებში, სადაც III ადგილები დაიკავა.

შარშანდელთან შედარებით ოთხი საფეხურით წინ, მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელმა, 15 წლის **დავით კაჭარავამ.** სასიამოვნოა, რომ ათეულში შედის მისი კიდევ ერთი თანატოლი— დინამოელი დავით კვარაცხელია (მერვე ადგილი).

მათზე ორი წლით უფროსია ასევე დინამოელი გიორგი მირიანაშვილი, რომლის მეხუთე ადგილი წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

მეექვსე და მეშვიდე ნომრებად დაასახელეს ორი ლევანი — რაზმაძე და თოფჩიშვილი. ეს 18 წლის დინამოელი სპორტსმენები ამჟამად სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან არმიის სპორტულ კლუბში.

ისევე როგორც შარშან, წლეულსაც მეცხრე ადგილზეა დინამოელი გია ლეჟავა. უძლიერესთა ათეულებში შესულთაგან ცხრამეტი თბილისელია. ვაჟებში მეათე ნომრადკი დასახელებულია თელაველი სპორტის ოსტატი ნიკოლოზ ელერდაშვილი. ამჟამად იგი მწვრთნელად მუშაობს თელავის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში. განვლილ სეზონში ნიკოლოზმა კარგად ითამაშა მშობლიურ ქალაქში გამართულ ღია რესპუბლიკურ პირველობაში.

**ქალთა** შორის რესპუბლიკის საუკეთესო ჩოგბურთელად ასევე პირველად აღიარეს გაბრიჩიძის თანატოლი, ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელი **ლეილა მესხი.** ლეილამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ტაშკენტში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დროს, როცა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. 16 წლის თბილისელმა ოსტატმა კარგად ითამაშა საკავშირო პირველობაშიც, სადაც რამდენიმე ძლიერ მეტოქეს აჯობა. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მან წარმატებით იასპარეზა საერთაშორისო ტურნირებშიც. წლეულს მესხმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატი **ირინე მალაციძე** ამჯერად მეორე ადგილზეა. განვლილ სეზონში ირინეს ყველაზე დიდ წარმატებად ალბათ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა უნდა ჩაითვალოს.

დინამოელი **ხათუნა ტრაპაიძისთვის** 1984 წელი საკმაოდ იღბლიანი გამოდგა. რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში კარგი თამაშით მან სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა და უძლიერესთა ათულშიც პირველად დაიმკვიდრა ადგილი, თანაც იგი თავიდანვე მესამე ნომრად დაასახელეს.

ტრაპაიძის თანაგუნდელს ლალი მეტრეველს მხოლოდ ტრავმამ შეუშალა ხელი ოსტატის ნორმატივის შესრულებაში, თუმცა ათეულში დაკავებული მეოთხე ადგილიც არ არის ურიგო შედეგი. ინგა ანტონიანმა (მეხუთე ჩოგანი) და ზანდა ფოცხვერიამ (მეექვსე), მართალია, შარშანდელზე უკეთესი ადგილები დაიკავეს, მაგრამ წლეულს ტურნირებში იშვიათად მონაწილეობდნენ და თავიანთი შესაძლებლობანი სრულად ვერ გამოავლინეს.

13 წლის ეკა ბოკუჩავასთვის კი მე-7 ადგილი ჩინებული შედეგია. ეკას ასეთი წარმატება პირველ ყოვლისა ტაშკენტში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე კარგმა თამაშმა განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო ორი ადგილიც საქართველოს სასპარტაკიადო ნაკრების წევრებმა ირინე გერაძემ და ოლღა თუხარელმა დაიკავეს. მეათე ადგილზეა რესპუბლიკის ღია პირველობაში წყვილთა თანრიგში ორგზის გამარჯვებული ეკა თოხაძე.

**როგორც** ვაჟთა, ისე ქალთა ათეულები შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა". ვაჟთა ათეულის საშუალო ასაკია 18 წელი (შარშან იყო 21), ხოლო ქალთა ათეულისა — 17 (შარშან — 21).

უძლიერესთა სიებში ყველაზე მეტი — 14 წარმომადგენელი ჰყავს „დინამოს". თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულმა სპორტსკოლამ და „ბურევესტნიკმა" 3-3 ადგილი მოიპოვეს.

**არტემ მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



ს უ რ ა თ ზ ე: ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე.

**არჩილ გურული.**

# სპორტული იანვარი

**ფეხბურთი.**
**3-12.** სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი 1967-68 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. სოხუმი;
**3-12.** სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი 1968-69 წწ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. გაგრა.

**ძიუდო.**
**3-6.** საქართველოს პირველობა 1968-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. საგარეჯო.

**ფრენბურთი.**
**3-8.** საკავშირო პირველობა 1969-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (ზონალური შეჯიბრება). თბილისი.

**აფროსნობა.**
**3-10.** სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის" ჭაბუკთა პირველობა იახტებით: „კადეტი", „ოპტიმისტი", „470", „ფინი", „ლუჩი", „ვინგლაიდერი". ბათუმი.

**მაგიდის ჩოგბურთი.**
**4-6.** საქართველოს პირველობა პროგრამით „ოლიმპიელები ჩვენს შორის". მონაწილეობენ 1967-69 და შემდგომ წლებში დაბადებული ჭაბუკები და გოგონები. ბათუმი.

**კალათბურთი.**
**4-10.** - საკავშირო შეჯიბრება 1971-72 წწ. დაბადებულ გოგონებს შორის (ზონალური შეჯიბრება). თბილისი;
**19-25.** ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური სპორტული თამაშები გოგონებს შორის (წინასწარი შეჯიბრებები). წულუკიძე.

**ჭადრაკი.**
**4-13.** ყრუ-მუნჯთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური მართველობის საკავშირო შეჯიბრება 1965-69 წწ. დაბადებულ გოგონებს და ჭაბუკებს შორის. თბილისი.
**12-24.** რესპუბლიკური შესარჩევი შეჯიბრება ვაჟთა შორის. ცხინვალი.

**თხილამურებით ხტომა.**
**6.** ტრამპლინიდან ხტომა — ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" პრიზზე. ბაკურიანი;
**13.** — საქართველოს ჩემპიონატი 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში. ბაკურიანი.
**19-20.** — საერთაშორისო შეჯიბრებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზებზე. ბაკურიანი.

**სამთო-სათხილამურო სპორტი.**
**22-27.** საკავშირო თასის გათამაშება, წინასწარი შეჯიბრებები. ბაკურიანი.

**სათხილამურო ორჭიდი.**
**30-31.** საკავშირო შეჯიბრებები 1965-66 წწ. დაბადებულ იუნიორთა და 1967-68 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ბაკურიანი.

**მძლეოსნობა.**
**7-8.** საქართველოს პირველობა 1968-69 წწ. დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის.
**12-13.** საკავშირო თასის გათამაშება (დარბაზებში) — ზონალური შეჯიბრება. თბილისი.
**19-20.** საქართველოს ჩემპიონატი (დარბაზებში), თბილისი.
**26-27.** საკავშირო თასის გათამაშება (დარბაზებში). ნახევარფინალები, თბილისი.

**ცურვა.**
**16-20.** საქართველოს სსრ ზამთრის ჩემპიონატი. თბილისი.

**სპორტული ტანვარჯიში.**
**29/I-I/II.** ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამატჩო შეხვედრა. თბილისი.

**ხელბურთი.**
**29/1-4/II.** საკავშირო პირველობა 1964-66 წწ. დაბადებულ იუნიორებს შორის. I წრე, I ტური. თბილისი.

## ინფორმაცია

### ჭადრაკი

**ანატოლი** კარპოვ — გარი კასპაროვის მატჩის ოცდამეჩვიდმეტე პარტია, რომელიც 2 იანვარს მოსკოვში გაიმართა, მე-16 სვლაზე ყაიმით დასრულდა.

**საჭადრაკო** ოლიმპიადის პარალელურად სალონიკში მოეწყო დიდი „ღია ტურნირი" დიდოსტატთა და ოსტატთა მონაწილეობით. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა.

7,5 ქულით I ადგილზე გავიდა დიდოსტატი ზლატკო კლარიჩი (იუგოსლავია). 7-7 ქულით II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ბორა ივკოვმა (იუგოსლავია) და საერთაშორისო ოსტატმა შანდორ კალაიმ (უნგრეთი).

### მძლეოსნობა

**სან-პაულუ.** ახალი წლის ღამეს ჩატარდა მორბენალთა ტრადიციული შეჯიბრება „კორიდა სან-სილვესტრი". 12 კმ და 640 მეტრიანი ტრასა ქალაქის ქუჩებში ყველაზე სწრაფად გაირბინა პორტუგალიელმა კარლოს ლოპესმა — 36.45,0. პირველად ეს შეჯიბრება მან 1982 წელს მოიგო. ქალთა შორის პირველი ადგილი ასევე პორტუგალიელმა როსა მოტამ დაიკავა. წლევანდელი კორიდა, რომელშიც 8 ათასზე მეტი მძლეოსანი მონაწილეობდა, საიუბილეო იყო. იგი მესამოცედ ჩატარდა.

### ავტოსპორტი

**პარიზი.** ახალი წლის პირველ დღეს ვერსალის სასახლის წინ, მოედანზე სტარტი მიეცა პოპულარულ რალის „პარიზი-დაკარი". შეჯიბრებაში მონაწილეობს 1500-მდე ავტოსპორტსმენი, 350 მსუბუქი, 60 სატვირთო მანქანა და 150 მოტოციკლი. თხუთმეტი ფრანგული ეკიპაჟი საბჭოთა ავტომანქანა „ნივით" ასპარეზობს, ეს რალი ერთ-ერთი ურთულესი ავტოშეჯიბრებაა. 22 დღის მანძილზე სპორტსმენებმა უნდა დაფარონ 14 ათასი კილომეტრი საფრანგეთის, ალჟირის, ნიგერის, მალის, მავრიტანიისა და სენეგალის ტერიტორიაზე. „ნივებს"ამ შეჯიბრებისათვის ამზადებდა ფრანგული კამპანია „უ, პოკ ოტომობილი".

### ჰოკეი

**ჰელსინკი.** ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო კანადის ნაკრებმა, რომელმაც შეჯიბრების ბოლო დღეს ფრედ — 2:2 დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. ვერცხლის მედლები ჩეხოსლოვაკიელებმა დაისაკუთრეს. საბჭოთა ჰოკეისტებმა ბოლოსწინა შეხვედრა წააგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან, ბოლო მატჩში კი ფინელები დაამარცხეს (6:5) და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს.

### ჩოგბურთი

**ნიუ-იორკი.** ახალგაზრდა ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მიაღწია ნატალია ბიკოვასა და ვიქტორია მილვიდსკაიას დუეტმა. საბჭოთა სპორტსმენებმა ფინალში სძლიეს რონი რეისსა (აშშ) და მერსედეს ჰასს (არგენტინა)—5:7, 6:3, 6:4. ბიკოვა და ჰასი ერთმანეთს შეხვდნენ ერთეულთა თანრიგის ფინალშიც. გაიმარჯვა არგენტინელმა ჩოგბურთელმა — 5:7, 7:6, 6:0.

### სათხილამურო სპორტი

**შტრებსკე-პლესო.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გაიმართა სათხილამურო ორჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა", რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობენ სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის წარმომადგენლები. ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ტალინელმა ალარ ლევანდიმ (81 და 78 მ). 15 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში პირველი იყო კიეველი ალექსანდრე პროსვირნინი — 50.13,8. ამ გამარჯვებამ კიეველ მოთხილამურეს საერთო პირველი ადგილი მოუტანა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვალ თბილისში

იწყება და ერთ კვირას გასტანს ნორჩ მოფარიკავეთა (1969-72 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ტურნირი ჟურნალ „მართვეს" პრიზზე, რომელიც მნიშვნელობითა და მონაწილეთა რაოდენობით თვით საკავშირო პირველობასაც ბევრად არ ჩამოუვარდება. საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში მასპინძლებთან ერთად იასპარეზებენ ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტაშკენტის, ალმა-ათის, ერევნის, ბაქოს წარმომადგენლები. მსგავსი შეჯიბრება პირველად შარშან ჩატარდა „მართვეს" რედაქციისა და თბილისის განათლების სამმართველოს თაოსნობით. ასპარეზობამ მონაწილეთა და მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ახლაც შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი განათლების საქალაქო სამმართველოს უფროსის ლევან ჩიქვანაიას ხელმძღვანელობით. ამჟამად ყველაფერი მზად არის, საფარიკაო ბილიკები ნორჩი მუშკეტერების „მოლოდინშია".

პროგრამის პირველ სახეობაში — ხმლით ფარიკაობაში ასპარეზობა 9 საათზე დაიწყება.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები



### ესპანეთი

**ეროვნული** ჩემპიონატის II წრის პირველსავე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები, სახელმოხვეჭილი კლუბები „ბარსელონა" და „რეალი" (მადრიდი). ტრადიციული მეტოქეების მატჩის მიმართ ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ წარმატების შემთხვევაში მადრიდელები 2 ქულამდე შეამცირებდნენ სხვაობას ლიდერთან, ხოლო, თუ „ბარსელონა" გაიმარჯვებდა, ეს სხვაობა 6 ქულამდე გაიზრდებოდა. „რეალის" ფეხბურთელებს, რევანშის წყურვილიც ამოძრავებდათ — I წრეში მათ საკუთარ მინდორზე გამანადგურებელი მარცხი (0:3) იწვნიეს „ბარსელონასთან". მატჩის წინ ესპანური, და არა მარტო ესპანური პრესა დიდ ადგილს უთმობდა მომავალ შეხვედრას. მაგალითად, გფრ-ის ერთ-ერთ გაზეთში გამოჩნდა ცნობა, რომ „რეალის" ყოფილი მეკარე, ცნობილი მომღერალი ხულიო იგლესიასი თავის საყვარელ გუნდს, თუ იგი მოიგებდა, 300 ათას დასავლეთგერმანულ მარკას შეპირდა. „ნოუ კამპის" სტადიონზე შეკრებილმა 127 ათასმა გულშემატკივარმა მართლაც მეტად მიმზიდველი თამაში იხილა. 24-ე წუთზე მასპინძელთა გუნდის წევრმა ხერარდომ ანგარიში გახსნა. 5 წუთის შემდეგ მადრიდელმა სანჩისმა აღადგინა წონასწორობა. 35-ე წუთზე მსაჯმა ერთობ თამამი გადაწყვეტილება მიიღო — მინდვრიდან გააძევა ბარსელონელი ვიქტორი (გარდა ამისა, არბიტრმა ექვსჯერ იხმარა ყვითელი ბარათი). I ტაიმში „რეალი" უკეთ თამაშობდა. საფიქრებელი იყო, რომ შესვენების შემდეგ რიცხობრივი უპირატესობაც თავისას იზამდა და სტუმრები შეძლებდნენ წარმატების მოპოვებას, მაგრამ პირიქით მოხდა: ათმა ბარსელონელმა გააფთრებით შეუტია მეტოქის კარს და 52-ე წუთზე მიგელიმ თავური დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. თამაშის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, როცა ესტებანმა ბურთი აართვა შტილიკეს და მესამე გოლი გაიტანა „რეალის" კარში. მადრიდელებმა ისღა შეძლეს, რომ ბოლო წუთზე მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა (ბურთი გაიტანა ბუტრაგენიომ). ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა „ბარსელონამ". XVIII ტურის დანარჩენი შეხვედრების უმეტესობა ფრედ დამთავრდა. 2 ქულის მოპოვება შეძლეს მხოლოდ სევილიის გუნდებმა „ბეტისმა" (სან-სებასტიანში „რეალ-სოსიედადთან" — 1:0) და „სევილიამ" (შინ „მალაგასთან" — 2:0). მადრიდის „ატლეტიკომ" და ბარსელონას „ესპანიოლმა" ქულები გაინაწილეს — 2:2. დანარჩენ 5 მატჩში გოლი არ გასულა. აი, ეს შეხვედრებიც: „რეალი" (ვალიადოლიდი) — „ატლეტიკი" (ბილბაო), „ერკულესი" (ალიკანტე) — „რეალი" (სარაგოსა), „რეალი" (მურსია) — „ოსასუნა" (პამპლონა), „სპორტინგი" (ხიხონი) — „რასინგი" (სანტანდერი), „ვალენსია" — „ელჩე" (ამ უკანასკნელ მატჩში ვალენსიელმა რობერტომ პენალტი ვერ გამოიყენა).

განვლილი ტური უხეშობითაც ჰგავდა დანარჩენებს — მსაჯებს ხშირად უხდებოდათ მოთამაშეთა დაშოშმინება ყვითელი თუ წითელი ბარათებით. ამ მხრივ სარეკორდო გამოდგა II ლიგის გუნდების „გრანადისა" და „უელვას" შეხვედრა. მეტოქეებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიოკეს ემოციები, რაც მსაჯმა პირველსავე ტაიმში 4 ფეხბურთელი გააძევა მინდვრიდან — 2-2 წევრი თითოეული გუნდიდან (ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2).

I ლიგაში კი ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| **„ბარსელონა"** | 18 | 35:14 | 29 |
| **„რეალი" (მად.)** | 18 | 23:16 | 23 |
| **„ვალენსია"** | 18 | 21:9 | 21 |

### იტალია

გათამაშების XIII ტურში ლიდერმა, ვერონის „ჰელასმა" სტუმრად ფრედ ითამაშა „კომოსთან" — 0:0. ამავე ანგარიშით დაასრულა მატჩი „ტორინომაც", რომელიც ბერგამოში „ატლანტას" ხვდებოდა. სატურნირო ცხრილში III და IV ადგილებზე მყოფი გუნდების, მილანის „ინტერნაციონალესა" და გენუის „სამპდორიას" შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ჰელასი"** | 13 | 16:4 | 21 |
| **„ტორინო"** | 13 | 21:10 | 19 |
| **„ინტერი"** | 13 | 19:9 | 19 |

### პორტუგალია

XIV ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლისაბონის გუნდების „სპორტინგისა" და „ბენფიკას" მატჩი. დაძაბული თამაში „სპორტინგის" მინიმალური გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. გათამაშების ლიდერმა „პორტუმ" ბრაგაში სძლია ადგილობრივ „სპორტინგს" — 3:2. ამ მატჩში თავი გამოიჩინა „პორტუს" თავდამსხმელმა, 1983 წელს „ოქროს" ბუცის" მფლობელმა ფერნანდო გომეშმა — მასპინძელთა კარში სამივე ბურთი მან გაიტანა. სხვათა შორის, გომეშმა წინა ტურშიც ჩინებულად ითამაშა — 6 გოლი გაიტანა „ვიზელასთან" მატჩში (ის შეხვედრა „პორტუმ" მოიგო ანგარიშით 9:1). გომეში ახლა სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას — მის ანგარიშზე 16 გოლია.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„პორტუ"** | 14 | 38:6 | 25 |
| **„სპორტინგი"** | 14 | 36:11 | 23 |
| **„ბენფიკა"** | 14 | 27:13 | 19 |

### საფრანგეთი

ეროვნულ პირველობაში გამოცხადდა საახალწლო შესვენება (20 იანვრამდე), მანამდე კი XXI ტურის მატჩები გაიმართა. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მომავალმა მეტოქემ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ბორდოს „ჟირონდამ" ლილში დაამარცხა ადგილობრივი „ოლიმპიკი". იგი დაგროვილი ქულების რაოდენობით გაუთანაბრდა ყოფილ ლიდერს „ნანტს" (ამ გუნდმა ანგარიშით 0:2 წააგო „სტად ბრესტთან") და, ვინაიდან ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, ცხრილის სათავეშიც ის მოექცა.

ლიდერთა წყვილი:

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ჟირონდა"** | 21 | 39:17 | 33 |
| **„ნანტი"** | 21 | 37:18 | 33 |

**რედაქტორი ა. გოგელია.**

**10 იანვარს** თბილისში, მძლეოსნობის სასახლის სხდომათა დარბაზში (წერეთლის გამზირი 95-ა), მოწვეულია სპორტსაზოგადოება „სპარტაკის"

**IV პლენუმი.**

დელეგატების რეგისტრაცია — 10 საათიდან.

დასაწყისი 12 საათზე.

**„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო.**




**ტელევიზიისა და რადიოს სპორტული გადაცემები**

**ცენტრალური ტელევიზია. 3 იანვარი.** საჭადრაკო სკოლა — 18.30 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში — **20.00** (2); თუ გსურს ჯანმრთელი იყო — **20.45** (2). **4 იანვარი.** საჭადრაკო სკოლა: ოსტატობის გაკვეთილები — **12.20** (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **20 და 23.55** (1).

**საკავშირო რადიო. 4 იანვარი.** „ყურადღება, სტარტზე" — **8.40.**

**საქართველოს რადიო. 3 იანვარი.** ბავშვებისათვის: ზამთარია, ზამთარი — **11.40** (1), სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (2); **4 იანვარი.** სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — ცსკა —**22.15** (1);

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. № 14**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52**
**წერილების განყოფილება — 93-97-55**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53**
**„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26**

**ჩვენი ინდექსი 66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07528